







დარჩენა თურმე ბნელი მხარეები. ამა ამას ვინ იფიქრებდა ამოდენა ფეშაქის შემდეგ, თურმე სომხის ინტელიგენციის დიდი ნაწილის გული კიდევ ვერ მოიგო ჩვენმა „მამულიშვილმა“. წარმოიდგინეთ მათი ჯიუტობა... დიდი უბედურება იქნება ქართველ-სომხთა მომავლისათვის, თუ იმ-ამა რამე იგია იმათი სიყვარული და ტკბილი გრძობები არ დაიშაბურა. იმ-ამს განა გული უნდა გაუტყდეს? სრულდებოდა არა ცხადია, მას ფეშაქი დაუწუნეს. საჭიროა სამ მუხრას ორიც მიუმატოს... რა ანგარიშია რაღაც ორი მასობისთვის სომხის დემოკრატიის გადაკიდება? ჩვენებურ „შოგინტებს“ შეუძლიათ მხოლოდ. ნეტავ სომხების გულს მოვიგებდეთ, და ორი მხარა გინდ იქნეთ, გინდ აქეთ...

ჩვენგან „ზვიტის“ მიერ გამოთქმულ აზრის უარყოფამ, თითქოს ვერა, ამაში ომამ-დინაც ძლიერი იყო ფედერალისტური მიმართულებები, და ომის შემდეგ ხომ ისინი ვერაზას დიდგობაზე, რომ ეს გამოიწვევს გეროპის სახელმწიფოებების სუვერენიტეტის „შეღალავს“ და ასე „შებდალული“ სახელმწიფოებების „გამოთავიფიკაციას“ კავშირში შესვლას და სხ., „მეგობარი“ მეტათ გაამწარა.

რასაკვირველია ვერ დაგვიხსნებოდა, რომელი სუვერენული სახელმწიფოა აპირებს თავის დამოუკიდებლობის უარყოფას და „ზვიტის-მეგობარს“ კავშირში შესვლას. „მეგობარი“ სიტყვას ბანზედ აგდება და მსჯელობას იწყებს. „ფედერალიზმზე“, როგორც პოლიტიკურ ცნებაზე, ფედერაციებზე, როგორც პოლიტიკურ წყობილების ფორმებზე და, ვინ უწყის, იქვე რაზედ.

კარგია, რომ „მეგობარი“ ამ მცნებებს ურკვევს თავის მკობელებს, მაგრამ „შვიტის“ გერმანეთის შესახებ, ასეთი სრული ცნობები, რომ ისინი კავშირს წარმოადგენენ, მგონია ვერ იქნება საკმარისი პოლიტიკური სკოლა „მეგობარს“ მკითხველებისათვის.

რადგან „მეგობარი“ „ზვიტის“ გაყვა პოლიტიკაში, ბარემც ისიც დაუდასტურებს მას, რომ ასეთი კავშირები აგრეთვე ვობის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ უმეორე წამალი არის, და ამერიკის შტატები და გერმანიის იმპერიალიზმის სახელმწიფოები კი არ არის არამედ უმან-კო პოლიტიკური კრავი. მაგრამ სჯობს მან ეს აღმოჩენა ახალ ამბებში მოათავსოს.

ჩვენ ვერ წავყვებით „მეგობარს“ ასე შერეულ ექსტრემიზმში. სჯობს თვედრე დღე დღის მთელი მთელი, თვედრე დღე დღის ფედერალიზმზე დაიწყო წერა.

რომ გვემინია არ ავსცდეთ ჩვენი წერილების მთავარ საგანს. დასასრულ არ შეგვიძლია არ ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ზოგიერთ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების და წარმატების მოსურნე მოდევნებს არ დაუჯდება ჰეგელის ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებანი და გვიპასუხებენ: თქვენგან განმარტებული სოციალური ფილოსოფია არ ახალია, ძველია. იგი მმართველი კლასების იდეოლოგიის მიერ შეთხზული უბრალო ლაპარაკია გახლავთ, მუშათა ხალხის მუდამ უწყალო და შიშვითავე სულის დასამშვიდებლათ გამოგონილი, სოციალური რევოლუციის საფრთხის თვლიდან ასაშორებლათ; მუშა ხალხს ხელს არ მისცემს აყვეს ამისთანა ლათავების და მწყრილობის დაიწყოს; მისი მიზანია მოსაზრა მშრომელი ხალხის უზომო და აუტანელი ექსპლუატაციის მთავარი მიზეზისა, კერძო საკუთრებისა და თქვენ კი მას ურჩევთ გაბურჟუაზიზებას, პირადი ქონების შექმნას და გამდიდრებას, რაც ყოველთა შეუძლებელია სხვისი სისხლის შეუქმნელა, სხვისი ხორცის შეუქმნელა. ამაზე შორს ვეღარ მიდის ჩვენი მოწინააღმდეგის არგუმენტაცია, რომელიც, როგორც ხედავთ, მეტათ ზერტულ და შაბლონურ მსჯელობას წარმოადგენს; ზოგ მათგანს საყურადღებოს და საგულისხმეოს კიდევაც შევებთ და შევეცადეთ გავგმობილოთ ბია, ჩვენს წინააღმდეგ წერილებში და დანაჩენი იმდენად ბავშვური და სრულ უსუსურობა უქცობაზე აგებული, რომ მათე ლაპარაკის ჩამოგდება ტყუილი უბრალოდ დროს დაკარგვა იქნებოდა და ამიტომ ამით ვასრულებთ ამ ჩვენს საუბარს მკითხველთან.

ა. თორმძე.

როგორც მოსალოდნელი იყო და პორტ-არტურის მთელი მოყვა „ამ საკითხის გამოკვეცას. ორი უტყუარი ფაქტი უკვე გამოიკვლია—ერთი ის რომ 1904 წ. იანვარს რუსეთს ქუთაისად დაეცა პორტ-არტურში. მეორე მოვლენა, ასეთივე მნიშვნელოვანი ფედერალისტური მომართულებისათვის ის ყოფილა, რომ თურმე პოტენციური იპოვნელ სოციალისტ კატაიამას ხელი გაუწოდა... მოუცადოთ ისევე, „ზვიტის-მეგობარს“. თვედრე დღე დღის, როცა ის პორტ-არტურის მთელი მოყვეს, ფედერალიზმსაც გამოაგრძევეთ და სოციალიზმსაც.

ჩვენს გაზეთში დასტამებულ ბ. ჯაიანის წერილს მეტათ გაუცხარებია „მეგობარს“ პუბლიცისტები. ბ. ჯაიანი „ფედერალისტთა მიმულიშვილობის“ უშესანიშნავეს ნიმუშს—ნახევარი საქართველოს გაფეშკაშებას ამხილებდა და ამ მოვლენას თავის სახელს უწოდებდა. ბ. ჯაიანს თავის პატარა წერილში მავალითებაც მოყვება სხვა ქვეყნების ერთა ბრძოლის ისტორიიდან. იქნებ ეს მავალითები არ იყო შესაფერისი? შესაძლებელია. მაგრამ განა ამაზე უთითებენ მას „მეგობარს“ პუბლიცისტები? სრულდებოდა არა. ისინი მას უთითებენ, ამა და ამ წიგნს დღევანდების ტაქსაზედ დასწერე კორესპონდენციითა. წარმოიდგინეთ, რომ ბ. ჯაიანი დღევანდებზედ სწერდა და „მეგობარს“ პუბლიცისტები კი—ავტომობილებზედ.

განა ამით გაქარწყლებდა ის ბრალდება, რომელიც ბ. ჯაიანმა წამოუყენა ჩვენ „ფედერალისტურ მამულიშვილებს“? ჩვენ გვემინია, არა.

მკითხველი იტყვის—ნეტავ თქვენი კარგათ ყოფნით, ჩვენ ფედერალისტებს დღევანდებზედ კია არა, დროგებზედ ეწერათ, ხოლო ჩვენი მამა პაპათა ოფლითა და სისხლით მორწყულ მიწა წყლის გასაწურება არ დაეწყათ...

## ახალი ამბავი.

ქუთაისის ქართულ დრამატული საზოგადოების გამგეობამ

დაინახა ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან გამართოს თათბირი, რომელშიც უნდა გამოარკვიოს საკითხი ახალი სთავტრო შენობის აგების შესახებ, დაახლოებით შეიქმნას გეგმა მოქმედებისა, აირჩიოს სამშენებლო კომიტეტი და ამგვარად გაეგებოსთან ერთად შეუდგეს საქმის მოგვარებას. გამგეობამ თხოვნით მიმართა ყველა საზოგადო დაწესებულებებს, რაც შეიძლება, მალე, ამოიჩინონ ამ კრებაზე დასასწრებლათ წარმომადგენელი და შეატყობოს მათი ვინაობა.

ქართულ საქველმოქმედლო საზოგადოებას ქუთაისის განყოფილებას პეტროგრადში არსებულმა ქართულმა საზოგადოებამ გამოუგზავნა ხუთთიასის მანეთი ქართულ დაქრილ ჯარის კაცების დასახმარებლათ.

მ დეკემბრისთვის დანიშნული ბენეფისის მსახიობის გ. ბარველისა, შემდგომისათვის გადიდდა

გულში დიდი ქალაქის ბაღის გვერდით პოლიციამ იპოვა მამრობითი სქესის ახლად დაბადებული მკვდარი ბავშვი.

ქუთაისის გუბერნატორმა ცირკულიარით სთხოვა ქალაქის გამგეობას: ყველა დადგენილება ქალაქის საოჯახო კომისიისა საწოვავებზე ნიხის მომპრების შესახებ აცნობოს მეტრე დღევანდელ და დაბეჭდულ იქნას ყველა ადგილობრივ გაზეთებში.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი უკვე შეუღდა იმ მოწყვეთა სიის შედგენას, რომლებიც დაბადებული არიან 1897 წელს. ამ მოწყვეთა სია წარედგინება სამაზრო სამხედრო სამმარსწავლის, რათა მათ, როგორც მოწყვეთ სწავლის დასრულებამდე შეღავათი მიეცეს.

ხვალ დანიშნულია ბალახანის ქუჩის „შოთა რუსთველის“ სახელობის სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი ბ.ნი სლავინსკი ქუთაისიდან გამგზავრა ბ. ხონს, სადაც რევინის მოახდენს ადგილობრივ სასწავლებლებში.

ქუთაისის საკრთოეთრო საზოგადოების ბანკის გამგეობა უკვე დათანხმდა, რომ თ. კ. ლორთქიფანიძისგან დაგი-

რავებულნი 1000 მ. წიგნები თანახმით კ. ლორთქიფანიძის თხოვნისა, გადაეცეს ქუთაისის ეთნოგრაფიულ საზოგადოებას მუზეუმისათვის.

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ქუთ. გუბერნატორს წარუდგინა ქალაქის საოჯახო კომისიის უკანასკნელი სხდომის დადგენილება, სხვა და სხვა საწოვავებზე ნიხის მომპრების შესახებ.

ამ მოკლე ხანში ქუთაისში გამოვა ქართულ ენაზე აღმინახი უკვარ ნაშე.

ქუთაისის მეპურეები ერთხმად ჩივიან რომ ადგილობრივი მეჭვილეები (ალაფები) ნიხის არავითარ ყურადღებას არაქცევენ თავისით უშაბტებზე ფასს და უფარგის ფქვილსაც ყიდნიან.

გუბერნატორმა დაამტკიცა, თანახმით სოხუმის ქალაქის გამგეობის ამორჩევისა, ამავე გამგეობის წევრი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე დოლინსკი ქალაქის ხმონსათ.

ჭურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ უკვე მიიღო გასაყადო „სახალხო-ფურცლის“ რედაქციის გამოცემა ი. გედევანაშვილის წიგნი „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“ ფასი 30 ლ.

### სოფლადი

ს. ქვემო ქვიტირიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ უამათ საქონლის ჰირი მძინვარებს და შინაურ საქონელს მუსრს ავლებს. საჭიროა სამაზრო ბეთაღმა ყურადღება მიექცოს.

### სათმამრო ძროხისა.

დღეს შაბათს, 5 დეკემბერს, ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება აკაკის ისტორიული პიესა „ერგელე მეორეს“ ცხოვრებიდან „პატარა კახი“. უმთავრესი როლები დასის საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული.

ხვალ კვარას, 6 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება გვიერის ერთმოქმედებიანი ახალი პიესა ფარაონთა ცხოვრებიდან „მზის საიდუმლო“ და შ. დადიანის კლმის ნაწი-მიკაო „შენი კირიმი“. უმთავრესი როლები ასეა განაწილებული: „კნიაინა ოლა“—ანდრონიკაშვილი, „კნიაინა მერი“—კეთელი, „სოსიკო“—ბარველი, „კარან—ბატონი“—კორნელი, „ბურღული“—ყალბაგვიშვილი, „პაუტელი“—მურუსიძე.

### ბასარ-პასარ წერილები.

#### 1. მდგომარეობა ბრძოლის ველზე.

ბრძოლის ველზე ამ უკანასკნელ დღეებში „სიწყნარე“ გამეფდა, ბრძოლის ცეცხლი განელდა; გააღმსებულა მტრები თითქო დასცხრენ, ერთიმეორეს ხელი შეუშევენ, თითქო, ბრძოლის ხალხის დაპყარგეს!

ასე გვეგონება ამდენი სისხლის ღვრა მათაც მოზურდათ და ზავის ჩამოგდების სურვილი გაუჩნდა!

მაგრამ ბრძოლის ველი მაგალითები გვებს გვიბადებს და, მიუხედავად დღევანდელი „სიწყნარისა“, ჩვენ ისევ ის ძველი კითხვა გვიჩნდება, რომელიც აგერ წელიწად ნახევარია, რაც მთელს განათლებულ კაცობრიობას მოსვენებას არ აძლევს და აღუდგებელი ზღვასავით აბობოქრებს.

სათი იხრება გამარჯვების სასწორი, დაბოლოს ვინ გაიმარჯვებს; სახელმწიფოთა რომელი „ყოალიკა“ გახდება იძულებული, რომ ზავი ითხოვოს?

გვგის ლაპარაკობენ დღეს ზავზე, გერმანიის დემოკრატიაც დაქინებით მოითხოვს მას და აქედან ჩნდება ილიუზია იმედი: ომი შეწყდება, სახელმწიფოთა მოიგდებიან და მალე ჩვეულებრივი მშვიდობიანობა დამყარდება. ტყუილი იმედი!

ვისაც ასე ფიქრობს, იმის ავიწყდება, რომ მოპირდაპირნი ჯერ ისევ თავის ღოზუნგათ „ომის ბოლომდე“ მიყვანას აყენებენ და ომის განსაგრძობათ გამალბებული ეშაღებიან;

ეს ომი წინააღმდეგ ომებისგან იმიტაც განირჩევა, რომ იგი შემდეგ ძირითადი გადაჭრულ კითხვას აყენებს: ვინ კისრულაზს კაპიტალიზმის შეშლავი განვითარების ინციტიაციას, ვინაა სახელმწიფოთა ქეშმარიტი დემოკრატიზაციის განამტკიცებელ—გამამარტებელი; ვის უნდა ეკუთვნოდეს მსოფლიო ჰეგემონია?

ვინ უნდა მიუძღოდეს წინ კაცობრიობას; გერმანელი თუ ინგლისელი?

აი, რაშია საქმე! გერმანელი წესულ საუკუნეში გაუტოლდენ ინგლისელებს ეკონომიურ სარბიელზე და გვერდში ამაუდგენ მათ, მაგრამ ეს ინგლისელებს არ მოეწონათ და მოინდომეს მათი მეტოქეობის მოსაზრა აღმოსავლეთში; გერმანელებმა აღმოსავლეთში წინააღმდეგობა კიდევ ინგლისელთა და მეტოქეობა გაუწიეს მათ დასავლეთშიაც. აქედან გაჩნდა მათ შორის დიდი მსოფლიო კონფლიქტი და აი ახლანდელმა ომმა უნდა გადაჭრას, თუ რომელ მათგანს დარჩება პირველობა აღმოსავლეთშიაც და დასავლეთშიაც. ასინი ერთიმეორეს ვერაფერს დაუთმობენ: ან ერთმა უნდა იბატონოს, ან მეორემ. მსოფლიო ერთია და მათ შორის მისი განაწილება არ შეიძლება, აქედან კომპრომისიც შეუძლებელია. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ომი, მართლაც, „ბოლომდე“ უნდა მივიდეს, ე. ი. ერთ-ერთი მხარე იძულებული გახდება, რომ ზავი ითხოვოს.

მაშასადამე, კითხვა იმაშია, თუ რა იძულებებს მებრძოლთ, რომ ზავი ითხოვონ; გამოსარკვევი ისაა, თუ რა პირობებში გახდება ერთ-ერთი მხარე იძულებული, რომ იარაღი დაჰყაროს.

მებრძოლი საზოგადოთ იარაღი მაშინ ჰყის და მტერს იმ შემთხვევაში ნებდება, როცა ხედავს, რომ გამოსავალი არა აქვს.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ გერმანია გამარჯვებულია როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში, როგორც ფრანგებთან ბრძოლაში, ისე რუსეთთანაც; როგორც „ირკვევი“, ის გამარჯვებული რჩება: ბალკანეთშიაც ყველგან მათი ზარბაზნები სქევენ და გრგინავენ, ინგლისელ—ფრანგთა რაზმები გაქარბით უკან იხევენ და საბერძნეთს თავშესაფარს სთხოვენ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოპირდაპირეები, ე. ი. „დამარცხებულები“ ზავზე სულაც არ ფიქრობენ და ახლა კიდევ უფრო ხმა მალა მოითხოვენ: „ომი ბოლომდე“. რუსის „საქვეყნო ცნობილება“ იმგვარანტა, ბურჯევა, პრესაში აღიარა: „აღიღი უბედურება იქნება ომი ისე დათავდეს, რომ გერმანია არ განადგურდეს.“

ამიტომ გამარჯვებული მხარე, ე. ი. გერმანია ისევ იძულებულია, როგორც ეს ს. დ. შეიდემანის წინადადების გამო რეისტრის უკანასკნელ კრებაზე თვითონ კანკლებმა აღიარა, ზავის მოთხოვის ნაცვლათ, კვლავ ომი განაგრძოს; და რადგან გერმანიას განადგურებისაც კი ექადიან, მის მთავრობას სოციალდემოკრატიულ ფრაქციის უმრავლესობასთან შეთანხმებით მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი მანამ იომოს, ვიდრე მოპირდაპირეებს ჩიხში არ მოიმწყვდევს და ზავს არ ათხოვინებს.

რითი, რა მანქანით შესძლებს ამას იგი? აი, რა თავსაბტრევი საკითხი დაუყენა ომის მსვლელობამ დღეს გერმანიას და მის მესვეურთ. როგორც ვავილომა მაგალითი გვიჩვენა, მან ეს ვერ შესძლო ვერც ბრძოლის ტენიციის საოცარი წარმატებით, ვერც სახედრო მასლის წარმოუდგენელი სიუხვით და ვერც „ნერვების სიმარათ“; ასეთი საშუალებებით იქ ვერც შეძლება „შეცდმის“ შესძლებს მტრების იარაღის აყრას, მთ უმეტეს, რომ ახლა მოპირდაპირეები ტენიციის მხრით და სამხედრო მასლის სიუხვეში მას ბაძვენ და ცდილობენ, რომ გადაჭარბონ კიდევ.

მაგრამ აქ საქმის ერთი მხარეა მეტათ საყურადღებო. სახელდობს ის, რომ ტენიციის განვითარება და სამხედრო მასლის აუტაცხელი სიმრავლე სახელმწიფოსგან ასეთივე ფინანსიურ სიუხვეს და ეკონომიურ ძლიერებას მოითხოვს.

მაშასადამე, დაბოლოს გამარჯვებული ის აღმოჩნდებოდა, ვინც ეკონომიურათ და ფინანსურათ ყველაზე უფრო ძლიერია; ზავს უწინ ის ითხოვს, ვისაც ქია ადრე დაუცალიერდება! გერმანელი სამხედრო მიმოხილველი, სოციალისტი პოლკოვნიკი გედექ სწერს: „შესაძლებელია ომის ბედი ეკონომიურმა მომენტმა გადაჭრასო“. მისი გამოანგარიშებით დასავლეთის ფრონტზე ინგლისელ—ფრანგთა ერთი უკანასკნელი საერთო შეტევა და საბრძოლერიო გახარება გერმანელების წინააღმდეგ საფრანგეთს 25,000,000 გირანქა სტერლინგი დაუჯდა! ახლა იგულისხმეთ მრავალი ასეთი შეტევა და მრავალ-მილიონი და მილიარდი სტერლინგები და თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ, თუ ბოლოს ვინ, რომელი მხარე ჩავარდება გაუსვლელ მდგომარეობაში, რომელი მებრძოლ-

თავანი მიაწყდება ფინანსიურ რისს! წინათ მებრძოლი სახელმწიფოები ფიქრობდენ, ომის ბელს „სოციალი ძალის“ სიმრავლე გადაწყვეტსო, ახლანდელ მომენტს, რომ ყველაფერში ქველ-ჯანის მეტი მნიშვნელობა ჰქონია.

შეიძლება, ვიფიქროთ: რუსეთი თუ ფულით სუსტია, სამაგერიოთ მისი მოკავშირე ინგლისია ამ მხრით ლონდონი და შეძლებული, ამიტომ „მოკავშირეთა“ დაძლევა ყოველად შეუძლებელია. ასეთი დასკვნა სრულიად საფუძვლიანი იქნებოდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გერმანია მოკავშირეთა ძალებს გათიშვას, განცალკევება—განმარტოებას ვერ შესძლებდა. როგორც ვიცით, ბალკანეთში გერმანიის გამარჯვებით და „მოკავშირეთა“ დარღვევით დამარცხებით რუსეთი განმარტავდა იგი თავის მოკავშირეებს ბალკანეთის ასპარეზზე ვერ შეუერთდა და იძულებული გახდა თავისი ძალები მხოლოდ თავისი ტერიტორიის დაკვას მოანდომოს. ახლა დარჩენილა ერთადერთი უკანასკნელი ასპარეზი, სადაც რუსეთი ინგლისს ჩამდენიმეთ ისევ უკავშირდება—ეს არის სპარსეთის ასპარეზი—და, თუ გერმანიამ მათი გათიშვა მოსალოდნელია და სპარსეთის საშუალებით აქაც შეიძლო, მაშინ კი დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ზავის ჩამოგდების მომენტი დამდგარია რომ გერმანია მიზანს უახლოვდება; მაგრამ მიზანი მიღწეული კიდევ არ იქნება: „მოკავშირეები“ გაუსვლელ მდგომარეობაში კიდევ ვერ ივრძობენ თავს: დასავლეთში საფრანგეთი დაიწყებს შეტევას, ხოლო აღმოსავლეთში რუსეთი ნაგრძობს ბრძოლას (თუ ექ „კუსის“ კიდევ უფრო მარჯვით არ გადახარა და მთავრობამ „სპარატიული ზავი“ არ ითხოვა) ამიტომ გერმანია ისევ იძულებული იქნება ერთი უკანასკნელი გადაწყვეტი დააკვრა კიდევ მოაწყოს და ამ დაკვრით მთავარი მტერი სასტკაოთ დაამარცხოს.

ვის წინააღმდეგ იქნება ეს გადაწყვეტი „დაკვრა“ მიმართული? ამაზე ჩრდილოეთის ფრონტის სამხედრო კორესპონდენტი ბ. კიროვი შეამდგეს სწერს: „გერმანელები თავის მთავარ ძალებს დიდ სიფრთხილით ეტყობიან და ინახვენ; როგორც სჩანს, ისინი სხვა რომელოდც დიდი გადაქმრელი ბრძოლისთვის ეშაღებიან. მაგრამ სად და ვის წინააღმდეგ მოსალოდნელია, რომ გერმანელებმა რუსეთის ფრონტზე ისევ დაიწყონ შეტევა... რიგა—დვინსკის რაიონში ავტომატური თოფების განჩენა, გერმანიის გენერალ ბელიოვის ჯარების ახალი რაზმებით გაძლიერება და უმთავრესათ მძიმე ზარბაზნების ფრონტზე დაგროვება და ბრძანება, რომ უსაუოთ ილონ ჯარებმა რიგა და დვინსკია“ იმას მოასწავებს, რომ გერმანიის ლაშქარი ჩრდილოეთით, რადიც „დიდი საქმისთვის“ ეშაღება, ეს არის მდ. დვინის ხაზის დაკვება და ამ მდინარის ნაპარებზე გამაგრება. ამაზე მეტს, კიროვის აზრით, გერმანია ვერც იფიქრებს და პეტროგრადზე გალაშქრების შიში არ უნდა გვექონდესო, ანუ გვემსებს რუსეთის კორესპონდენტი...

ამაირათ, ბალკანეთის საერთაშორისო ასპარეზზე ძლიერა მოსილო და სტამბოლში შესასვლელათ გამაზღებული გერმანია ლონჯ შემოყრილი დღეს ცალი თვალით რომ შუა აზრისავენ, სპარსეთისაკენ და სუეცის არხისაკენ ვაიციკირება, მეორე თვალით იგი პეტროგრადს გაჰყურებს და შესაფერ მომენტს ელის.

დელი.

4. ფრანგულენოვანი „რეპრეზენტანტი“  
დაპროფ. ი. შარბილი...

ბნემა ფრანგულენოვანი კონკრეტული შესავალი, სხვათა შორის, სტეფანო, რომ ქუთაისი თავის საუბრობა აზროვნებით ემსახურება უდაბნოსა უგზოსა და უცხოლოსა. თუ ასეთი მსჯელობა დიდი ხნიდან დამსახურებული გვაქვს, გვსამინდურ უნდა ვსცდოდეთ, საქმე გამოგვეკეთებინა. თქვენ კი, მამაო დეკანოზო, ბნე ფრანგულენოვანი ხსენებულ მსჯელობის დასამტკიცებელი უტყუარი წერილობითი საბუთი მიწოდეთ.

ბევრს არ გაცხადებთ. ავღებ მხოლოდ ერთ წინდადებას თქვენი წერილიდან და იქიდანაც ცხადი იქნება, რომ იმის დამწერს საქმის ნაკლებად გმობს. თქვენ ბრძანებთ: „კონკრეტული სასამართლო მოსამსახურე იყო, მაგრამ ფრანგული ელფერი დაპყროვლა“.

რომელ ფრანგულს ბრძანებთ? ფრანგული ზედმეტად სხელია სიტყვა „ფრანგი“ დან. ვსურთ სიტყვათ, რომ ამ კონკრეტულ ფრანგულ კონკრეტულს ელფერი ედვა თუ რა? ან შეიძლება თქვენებურად სიტყვა „ფრანგი“ კათოლიკურს ნიშნავს? მაგრამ იცით კი თქვენ კათოლიკური მუსიკა? შო, სიტყვა ფრანგული ქართულად კიდევ მალეც ნიშნავს. შეიძლება თქვენ გინდოდეთ გეპყროთ, რომ ამ კონკრეტულ ხსენებულ ელფერს ედვა? მაგრამ ამას თავი დავანებოთ, აქ ასე ვსთქვათ, მხოლოდ სიტყვები ავგებნებთ, ჩვენთვის საყურადღებოა თქვენი სასამართლო მსჯელობა. რჩებათ თქვენ ბრძანებთ: „ჩვენს მიერ შესრულებულ საგანგებო კაბური კილო დაკუთვლილი ფრაზა ნინოს, ტროპარია“ მამაო დეკანოზო, ყური, ყური წიგნი ნინოს ტროპარია მარტო ერთი ფრაზა დაცული შეუცვლელია, სხვა სხვა შესწორებული-შეიწმინდილი და ამას ჰქვია თქვენებურად კილო დაცვა? თუ თქვენ ეს ცვლილება შეაჩინეთ და არ აღნიშნა თ, სცდებით, როცა სწორი კილო დაკუთვლი იყო, და თუ ვერ შეაჩინეთ, მაშინ სმენა გვალაგებთ.

თუ კიდევ მოგინდეთ მუსიკაზე ფრაზა-მოთხრობა ეს ჩემი წერილი და თანაც ლოცვა სთქვით, რომელიც, როგორც დეკანოზს, ზნობრათ გეკოდინებთ: „დასაღვე უფალო საკო პირს ჩემსა და კარი ძნელი ბავთა ჩემთა“.

დელი დელი...

გ ა კ ე რ ი თ.

(ქუთაისის რაზმის ბნე ელფერის წერილის ბაზაზე)

...შური და მტრობა, გაუტანლობა და ერთისგან მეორის დამცირება წესია, ადრეთი უკუღმართობა და რაც უფრო დღენოლია ესა თუ ის ერთი, რაც უფრო დამონებული და დამეჩვიებულია ესა თუ ის ხალხი, მით უფრო მისი შვილები ერთმანეთს სკამენ და იმის მაგივრად რომ ერთი მეორეს მიეშველოს და შეერთებულნი ძალით გაუძლეოდნენ საქმეებს, საერო ბოროტებას, ერთი მეორეს ამცირებს, სახელს უტყუებს და ცდილობს გააბიძგოს, ცოცხალი მიწაში ჩაშალოს, თვითონაც წახედეს და მეორეც წახედინოს...

ამ მწარე სიმატის მათქმე-ნებს ის დავიდარაბა, რომელიც ატყდა ჩვენს თანამშრომელ დავიდ ბაზოვისა და ქუთაისის რაზმის ბნე ელფერის შორის.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ვახეთი იყო პირველი ქართული ბეჭდვითი ორგანო, რომელმაც დაუთმო ქართველ ებრაელებს თავისი ფურცლები და საშუალება მისცა მათ თამამად გამოეთქვათ თავისი აზრი.

რაზმის ბაზოვი, ნორა, ნატ. ელია-შვილი, შ. ფრანკო და სხვანი პირველი მერცხლები არიან ქართველ ებრაელებს გამოდგომისა და გამოფხიზლების მჩვენებლები.

არ დავიწყებ და გულახდილად მოგახსენებთ, რომ ბევრი რამ ამ ქართველ ებრაელთაგან ნათქვამი და დაწერილი ჩვენს ისეთ საანბანო, სადა და უბრაოდ მიგაჩნდა, რომ სხვათა, — ქართველ თანამშრომლებს-არც კი დაუბუღებდნენ, მაგრამ ვნებულმანქანობდით რა ამ პატივისცემითა, რომელსაც პირადად ჩვენ გულში ვატარებთ ებრაელთადმი, როგორც ისეთ ერისადმი, რომელმაც კაცობრიობას მისცა იღვა ერთ-მერთობისა, მისცა იღვა მართლმსაჯულებისა, მისცა, დიდებული წინასწარმეტყველები, დიდებული მამულმშობლები მისე, იესო ნაფინი, ისაია, დანიელი, იერემია, დავითი, სოლომონ ბრძენი და სხვანი და სხვანი, მისცა თვით იესო ნაზარეტელიც — ჩვენ არ შეგვეშო დაგვეშო ქართველ ებრაელთათვის საშუალება თავისი აზრის გამოთქმისა. რა ვუყოთ, რომ ეს აზრი მდამი და სადა იყო, რა ვუყოთ, რომ ზოგიერთში, შეიძლება, არც

კი ვეთანხმებოდით პატივცემულ მწერლებს, სადაც ერთი ეს აზრები, ეს თქმა და თავგამოდება ამ მწერლების ჩამაფრებელი და სასიამოა ვასაგონი იყო და არის ქართველ ებრაელთა უმრავლესობისათვის, რომელი უმრავლესობაც, სამწუხაროდ, დღევანდლამდე სინგლეში იმყოფება და ბევრს კიდევაც სიბნელეში იმყოფება და სინგლეში დარჩეს!..

ღიას! ჩვენ გვინდოდა სიტყვა და ქადაგება ჩვენის ვახეთის ქართველ ებრაელ თანამშრომლებისა გადასულიყო მისსაში, ამ მისსაში ზოგისინა იგი, ანგარიში გავწიო მისთვის და ნელ-ნელა იგიც შესწევდოდა აზროვნებს, ეცნო თავისი თავი და სხვათა.

ამ მიზანს კოტათ თუ ბევრად მივალწით კიდევ. ქართველი ებრაელები გამოეხმაურნენ თავის მწერლებს, დიწყო მათში აზრთა გაცლა — გამოცვლა და ჩვენი გვეგონია, დღის შემდეგ ვეღარავითარი ძალი ვერ შესძლებს ქართველ ებრაელებს ბნე ელფერის დაკავებას.

ჩვენ ღრმთა მწამს, რომ ქართველი ებრაელობა უკვე შესდგა გამოფხიზლების გზაზე და თავის წვილის შეიტანს ქართულს ცხოვრებას, თუ ლეტერატურაში.

საქმე ნების გატეხა იყო. ეს ნების გატეხა. და პირველი ჩაქუჩი რაზმის დავით ბაზოვი დაპყრო...

აი, ამიტომ არ შეიძლება გულ მშვიდობით ავიტანო ის ბრალდება რომელ ბრალდებასაც, თავის წერილის სტრიქონებსა და სტრიქონებს შუა სდებს მას ქუთაისის პატივცემული რაზმის ელფერი.

(იხ. „მეგობარი“ № 25, მკერე განმარტება ელფერის).

მაგრამ, ვიდრე ამ ბრალდებაზე ვიტყვოდე რასმე, არ შემიძლია მოკლეთ არ გავცნო ჩვენს მკითხველებს ისტორია ამ ორ რაზმის შორის ჩამოვარდნილ თანხმობისა.

ბნე დავით ბაზოვის უნდადა მოეწეო კრება რაზმის ებრაელთა ცხოვრების ზოგიერთ საკარბოროტო კითხვების გასათვალისწინებლად. ასეთი თაოსნობა ბაზოვისა იუტოვია ბნე ელფერისა იმ მალაზრებით რომ „ამ კითხვების შეუწყვეტს რაზმებს მას (ე. ბაზოვის) განუხრახნებს წარუდგინოს რაზმთა ერთობას, საჭირო იყო საერთო კავშირების შეშაბა, აზრთა გაგება-გამოცხვლა და ასე წინასწარ მომზადებით ამ საკითხების ურთიერთგადაცხვლა“ (ჩვენ მიერ ხაზ გასმული სიტყვები ბნე ელფერისა).

შესმენილი მკითხველი დაეთანხმება, რომ აქ მარტო ერთგვარი ფორმალისტობაა, რომელიც თითქმის ამათლებს ბნე ელფერის, მაგრამ ვინც ბნე ბაზოვის წერილებს ადევნებდა თვალყურს, იმან კარგად უნდა იცოდეს, რომ ბნე ბაზოვი სწორედ ამ აზრთა გაცვლა-გამოცხვლას, ამ კოლექტიურ მუშაობას მოითხოვდა ყველგან და ყველასაგან (იხილეთ ბაზოვის წერილი „სამშობლო“ № 55, 75, 96, 97, 101, 112, 113, 125, 126, 127, და სხვანი). მაშასადამე, თქმა იმისი რომ ბაზოვი „მეტეჩარობს“ არამც თუ არ არის მართებული, არამედ ცოლდაც არის!..

კაცი თავისი ერის გამოფხიზლებზე, თავისი ერის სარწმუნოებრივსა და ეროვნულ-ზნობრივ აზროვნებაზე ფიქრობდეს და იმას კი „მეტეჩარობა“ უკვიროს — ეს ჩვენის აზრით, შეგინდება ადამიანის წინდა-წმინდისა!

ჩვენ არ გვინდა დაუფლავთ ვეკლად ბნე ბაზოვის — ალბათ იგი თვითონვე გასცემს პასუხს ბნე ელფერის, ვინაიდან „თვისა თვისი უფრო კარგად იცის“. მაგრამ არ შეგვიძლია ვისმე დაუჩაგრინოთ ჩვენი თანამშრომელი, როდესაც იგი ღირსი არ არის არც გამოებისა და არც ცილისწამებისა.

ბატონი ელფერი კი ისე ლაპარაკობს თითქოს დ. ბაზოვი მტერი იყოს თავის ხალხისა. ქართველ ებრაელებს ქართველებსაც გათამაგა უნდადეს და მათ ზნობრივად დაკნინების სცდობდეს.

ეს კი მტყნარი ცილისწამებაა, ეს დაუბუღებია დ. ბაზოვისა ხალხთან — როგორც ქართველ ებრაელებთან, ისე ქართველ ქრისტიანებთან, ეს, დასასრულ, დამცირება თვით იმ ვახეთისა, სადაც ბაზოვი და მისი ამხანაგები თანამშრომლობენ, ვინაიდან ჩვენ ბნე მიგვიცია ხალხის მტრისადვისა.

მაგრამ, არა, ეს ასე არ არის! ჩვენ ვუცხადებთ ბნე ელფერის პროტესტს და ვსთხოვთ ყველას ერთხელ კიდევ

გადავიხილო ბაზოვის წერილები („სამშობლო“ № 55, 75, 96, 97, 125, 126, 127, და სხვანი). ხოლო, ვიაც ამისი დრო და გარემოება არა აქვს, ვადაიკოთხოს მაინც სიტყვა ბაზოვისა, მის მიერ წარმოთქმული ფრანგულენოვანი ქართულენოვანი წერილები, რომლებიც ქართველ ებრაელების შესახებ (იხ. სამშობ. № 127) და მერე დაუჯეროს ბნე ელფერს.

არც ღონე და არც ძალა, მხოლოდ წინდა სული... სხვადა სხვათა იქნეს, თოფი ბადასთა, ერთ ერს ადარ ენთაფეს, შევად და კრავი ერთად სძოვდეს და ასანს აგებდეს ერთმანეთს, აი ჩვენი იდეალია! — გატაცებით ამბობს ბაზოვი ერთ თავის წერილში და ამისთანა შექადაგებებს ბნე ელფერი „მეტეჩარობს“ უყოლებს.

ცოდვია, ბატონებო, კაცის უცუცხოობა დაწვა და უანგარო შრომის შეგინება... ცოდვია ბნე ბაზოვი — ჯერჯერობით ეს ერთად ერთ ქართველ ებრაელებს, რომელიც მთელის თავისი არსებით ემსახურება ტანჯულის და დევნილი ერის უფლებათა აღდგენას!

ჩვენ კარგად ვიცით ებრაელთა ისტორია, კარგად ვიცით ბიბლიაც, ვიცით ყველა ერისა და სარწმუნოების სხვადასხვაობის სუფთა და მით უფრო საქმეარია დ. ბაზოვის გამოსვლა, მით უფრო საკვირველია დ. ბაზოვის თავგამოდება, რომ იგი რაზმის, მღვდლის, ასე უხიზლო უტყუებს მომავალს და ასე სცდილობს ქართველ ებრაელთა გამოდგომას.

მას გამხევენ უნდა და არა დაკინება, მას ყველამ ხელი უნდა შეეწყუთ და არა შევეშალოთ, მას გზა უნდა მივცეთ საშუალებით და არა დაუბნობთ გზა იგი!..

ბნე ელფერი კი სულ სხვანაირად იქცევა. რაც, ჩვენის აზრით, არ არის მართებული და არც შეეფერება ხალხისა და ერის წინამძღოლს.

ბნე ელფერის შეუძლია არ დაგვეთანხმოს ამა თუ იმ საკითხში, მაგრამ იმის ნება კი არა აქვს, რომ ძაძმას გადავიდოს და ერთობის ნაცვალთ შეუსმენდეს მისსაში შური და მტრობა დასეთოს...

იხილეთ — ცინცე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან) დასავლეთის ასპარაზი.

პარიზი. 1 დეკემბერი. ოფიციალური ცნობა სალამოი. სხვა და სხვა ადგილის საარტილერიო ბრძოლა ჩვენთვის სასარგებლო იყო. რუსთა რაიონში, ვილერის-იკენ მიმდებარე ვხვდებით ჩვენს არტილერიამ მტრის რაზმი გაფრტა, ტინკურთან ჩვენს არტილერიამ მარჯვედ დაუშინა მ-პირ-დაპირის ქარავანს. შამპანში, ბაუ-მარუს რაიონში მტრის მუშაობას ხელი შევეშალეთ, აფეთქება მოვახდინეთ, რომლის შემდეგაც ცეცხლი გაჩნდა.

პეტრი. 1 დეკემბერი. ბელგიელების ცნობა. ბრძოლის პირის სხვა და სხვა ადგილში ცხოველი საარტილერიო ბრძოლა სწავრობებდა. ჩვენს არტილერიამ დიანგრა დაქმნიულდეს ჩრდილოეთით გერმანელების სანგრები და ჩააშრა მათი არტილერია, რომელმაც ცეცხლს მხრით სროლა ასტეხა ჩვენს სანგრების წინაღმდეგ.

კოპენჰაგენი. 2 დეკემბერი. ბერლი. ტრენდეს. შაგიდან დეპეშით ატყობინებენ: გამოკვლეულია, რომ ბოლოდროს გერმანელებს დიდძალი ჯარი მიჰქავთ დასავლეთისაკენ. ამ ჯარში გარდაახლოდ შეგროვებულ ჯარის კაცებისა, აგრეთვე რუსეთისა და სერბიის ასპარეზებიდანაც წამოყვანილი რაზმები ურევიათ. ჯარების ნაწილი ლიუქსემბურგში მიჰქავთ, შემდეგ ლიუქსემბურგში მიჰქავთ მცირე სულა-სონისაკენ მიდის. ცხადია, დასავლეთის ასპარეზით გერმანელები ახალს დიდ შეტევისათვის ემზადებიან.

ბალკანეთის ასპარაზი.

პეტრი. 1 დეკემბერი. ბალკანეთის ბრძოლის პირი. ჩვენი ჯარი უკანდასვას წესიერად განაგრძობს. ბულგარელებს იერიში ჩვენი არტილერიის წინააღმდეგ შეეკრებულ იქნა. მთელი ჩვენი ჯარი შეგროვებულია საბრძანეთის საზღვრის სამხრეთით, სადაც ჯერ არც ერთს ბულგარელ ჯარისკაცს ფეხი არ შეუღვამს.

ბუქარესტი. 1 დეკემბერი. სოფლიდან

იუწყებიან, პარლამენტი გაიხსნება 2-სა დაიხსნება 9 დეკემბერს. ამ მოკლე სესიის განმავლობაში შეტანილ იქნება კანონპროექტი არა ჩვეულებრივ კრების შესახებ, 150 მილიონ ფრაკისა, სამხედრო ხარჯების დასაფარავად. ოპოზიციის გადაწყვეტილი აქვს მოთხოვნა მხარი დაუჭიროს და ხმა მისცეს ხარჯთ-აღრიცხვას. პარლამენტის გახსნისას რადიკალური მოხსენებას წარადგენს შინა-ურ და გარეშე პოლიტიკის შესახებ.

ლონდონი. 1 დეკემბერი. „ტაიმსის“ კორესპონდენტი სოლუნგიდან იუწყება, ბულგარელების ედმინსტრაციის გადაწყვეტა მონასტრში მხოლოდ ხერხი იყო, რათა საბერძნეთისათვის თვლი ახვიდოთ. გელა ნილამი იხსენებს და სოფიაში გერმანიის ელჩმა განაცხადა, რომ მონასტრის ბულგარეთის სრულ მფლობელობაში გადადის და იქ წმინდა ბულგარელების ადმინისტრაციაც იქნება დანიშნული.

სოლუნი. 1 დეკემბერი. საბერძნეთის ტერიტორიის ნეიტრალიტეტი ბულგარელების ჯარის მიერ არ დარღვეულა საბერძნეთ-სერბიის საზღვარზე. დოიჩანის მახლობლად ინგლის-საფრანგეთის ჯარი გამოადგებულა სდავს, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს ბულგარელების შეტევას, რათა უზრუნველყოს დანარჩენ ჯარის დახვევა სალონიკის გამაგრებულ რაიონში. გუშინ ინგლისელები ჯარების გადასახას განაგრძობდნენ. სოლუნის რაგვლივ ბანაკები სავსეა ჯარის-კაცებით. სიმარგების აგებას ენერგიულად აწარმოებენ.

გუშინ მღვდელ ინსტრუქციის თანახმად ბერძნების მესამე დივიზია ქლქიდიკის ნახევარ კუნძულიდან და მცხეთე დივიზია ლანგლიდან წავიდნენ ნეგრატის, სერგის, ნაუსტის და ვოდუნის მიმართულად.

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავსენით სააგენტო დამსჯვე (სტრანის) საზოგადოებისა „რუსეთი“ („როსსია“), სადაც შეიძლება დაგვავიკა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადად მოსადაზარალებლად ვთხოვ მობრძანდნ დილის 10 ს-დან ნაშუადღევს 1 სანთ. და საღამომით 4 სანთ.—7 სანთ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორბინის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქადაქის მერე აფთიქის სემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დახვდნენ თავი. ტელეფონი № 26. წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

აგენტი დამსჯვე საზოგადოებისა დავით სიმონის ძე დოლოვარია.

„სოკრატის“ გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასხიდად 4 ა რ თ უ ლ ი

კელის კალენდარი 1916 წ.

შეღწერილი გრ. ჩარკიონისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ჯიბის — სახალხო კალენდარი 1916 წლისა

შეღწერილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ვისაც სურს „პარტიო“ იყლოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:

ტფილისი, სტამბა „სოკრატის“. მ. გაჩეჩილაძეს და ქ. ქუთაისში, თ. შარბილის წინის მალაზიაში. 15—10

მსოფლიო ტანსაცმელის მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: სახამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარის მოსაშურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით — რუსული და საზღვარგარეთი ყოველგვარი მატერიალი, რიზინა ფასაში, რადანაც მუშა ხელი შემკირებულია. ფასები უფაქრობით.

მამათა ყურყურაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდალი

საპენის გასაყვითელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველასგან სომიერება როგორც წერილობით, აგრეთვე ნარდათ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან